ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATION AND TRAINING

ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ

#2, 23

დუო

პირველი დარგობრივი უნარების ორგანიზაციების ინიციატივა საქართველოში

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო პროგრამებზე

რეგისტრაცია

პროფესიული პროგრამებისა და კოლეჯების კატალოგი ჩვენთან

შინაარსი

ნინო ელბაქიძე 3
რედაქტორის გვერდი

4 თამარ თორია
საქართველოში პირველი დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „აგრო დუო“

გიორგი აბრამიშვილი 7
ენერგეტიკის დარგობრივი უნარების ორგანიზაცია

9 ანა შანშიაშვილი
დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „არტიზანი“

დავით კიზირია 11
ICT დუო

13 ლილე შალიკიანი
მშენებლობისა და ინჟინერიის დუოს საინიციატივო ჯგუფი

ვალერი გულბანი 15
სპორტის დუო

17 თათა ჯაიანი
WINE DUO / ღვინის დარგობრივი უნარების ორგანიზაცია

თამარ ქიტიაშვილი 19
პროფესიული განათლების კვირეული 2023

22 ეკატერინე მაჭარაშვილი
პროფესიული სტუდენტის ისტორია

მარიამ ბოჭორიშვილი 23
პროფესიული სტუდენტის ისტორია

24 მარიამ ლაშხი
პროფესიული განათლება მთავრობის პრიორიტეტია

მარიამ სიქინავა 27
პროფესიული სტუდენტის ისტორია

28 გიორგი გამყრელიძე
ნებისმიერი პროფესია ხელოვნებაა, გააჩნია, როგორ მიუდგება მას ადამიანი

ზურაბ ოხანაშვილი 30
პროფესიული სტუდენტის ისტორია

31 ლიდერობა პროფესიულ განათლებაში

ლუკა მახარაძე 33
პროფესიული სტუდენტის ისტორია

34 ნიკა შარიფაშვილი
პროფესიული სტუდენტის ისტორია

ვაკო მესხორაძე 35
პროფესიული სტუდენტის ისტორია

36 თამარ ალადაშვილი
მწვანე უნარები და გარემოსდაცვითი განათლება

მარიამ თაგოშვილი 39
პროფესიული სტუდენტის ისტორია

40 ქრისტინე კვარაცხელია
პროფესიული სტუდენტის ისტორია

#2, 23

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATION AND TRAINING ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ" ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

ჟურნალი „ყველაფერი პროფესიული განათლების შესახებ “ALL ABOUT VOCATIONAL EDUCATIONA AND TRAINING” გამოიცემა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

დამფუძნებელი:
ნინო ელბაქიძე

დიზაინერი:
მელანო კოპლატაძე

სტილის რედაქტორი:
მაია წიკლაური

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:
ომარ ტერტერაშვილი

ნინო ელბაქიძე

პროფესიული განათლება, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, არასდროს ყოფილა ასეთი პოპულარული. მისით დაინტერესება, განსაკუთრებით ახალგაზრდების მხრიდან, ყოველ წელს იზრდება. ხშირად, მშობლები სულაც არ არიან აღფრთოვანებულნი შვილების არჩევნით, მაგრამ ახალგაზრ-დები პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირდებიან და სწავლობენ.

მაინც რა გახდა პროფესიული განათლების იმიჯის განახლების მიზეზი? - ახალი პროგრამები, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირი თუ კოლეჯების განახლებული ინფრასტრუქტურა?

რა თქმა უნდა, პროფესიული განათლების განახლებაში უამრავი პროფესიონალის ჩართულობა, როგორც საგანმანათლებლო სფეროს, ასევე ბიზნესსექტორის მხრიდან, დადებით გავლენას ახდენს პროფესიული განათლების პრესტიჟზე, მაგრამ მთავარი აქტორები ამ პროცესში მაინც თავად ახალგაზრდები არიან.

პროფესიული განათლებით დაინტერესებული ადამიანები პრაგმატულად აკეთებენ არჩევანს; სასურველ პროფესიას აფასებენ რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- ეს პროფესია მე მაინტერესებს;
- ეს პროფესია მოთხოვნადია, კარგი დასაქმების პერსპექტივით;
- ამ პროფესიის შესწავლა მე კარგ შემოსავალს მპირდება.

რა თქმა უნდა, პროფესიულ განათლებაში მოსული ყველა ახალგაზრდა თუ ზრდასრული ამ კრიტერიუმებით არ სარგებლობს და ზოგიერთი მათგანი, ძიების პროცესში, არაერთ პროფესიას გამოცდის და შეისწავლის. ზოგიერთი სწავლასაც შეწყვეტს, რადგან მიხვდება, რომ იქ არ არის, სადაც უნდა იყოს, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია. თანამედროვე ადამიანი მხოლოდ ერთი პროფესიით ფონს ვერ გავა. მას სჭირდება საკუთარი უნარებისა და ინტერესების კვლევა და იმ საქმის აღმოჩენა, რომლის კეთებაც ყველაზე მეტად მოსწონს.

თანამედროვე ახალგაზრდები ინტერესდებიან პროფესიული პროგრამებით, რადგან ხედავენ პროფესიული განათლების პრაქტიკულ ღირებულებას. ისინი სწავლის პროცესშივე ეცნობიან პოტენციურ დამსაქმებელს, შეისწავლიან სამეწარმეო უნარებს, სწავლის ხანგრძლივობას შეუთავსებენ საკუთარი ცხოვრების განრიგს. პროფესიის შესწავლის პარალელურად, გრძელვადიანი სადიპლომო პროგრამების საშუალებით მათ შეუძლიათ, გაიფართოონ თვალსაწიერი, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებით განივითარონ კონკრეტული უნარები ან, თუნდაც, ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩააბარონ განათლების საბაზო საფეხურის (იგივე ცხრა კლასის) დასრულების შემდეგ და სამ წელიწადში დიპლომი და ატესტატთან გათანაბრებული დოკუმენტი აიღონ; დუალური განათლება ახალგაზრდებს სწავლის დაწყების პირველივე დღიდან კომპანიაში დასაქმებულის სტატუსს ჰპირდება.

ძვირფასო აპლიკანტებო, პროფესიული განათლების პალიტრაში ყველანაირი გემოვნებისთვის მოიძებნება შესაბამისი დასახელების, ტიპის, ხანგრძლივობის პროგრამა. მთავარია, შეარჩიოთ სასურველი პროფესია; სწავლა თქვენთვის უფასოა - თქვენი სწავლის საფასურს სახელმ-წიფო გადაიხდის; ისწავლეთ, დასაქმდით და იცხოვრეთ კეთილდღეობაში.

პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია ახლა მიმდი-ნარეობს. მოიძიეთ ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ თქვენს რეგიონში, ქალაქში; ესტუმრეთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებუ-ლებას და დარეგისტრირდით სასურველ პროგრამაზე. თქვენი პროფესიული მომავალი თქვენს ხელშია.

ჟურნალის სახელით, გისურვებთ პროფესიულ კმაყოფილებას, განვითარებასა და წინსვლას.

თამარ თორია

საქართველოში პირველი დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „აგრო დუო“

პროფესიული განათლების სივრცეში დარგობრივი უნარების ორგანიზაციამ „აგრო დუო“ ფუნქციონირება დაიწყო 2019 წელს, თუმცა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა არაერთი სახის საქმიანობა და სიტუაციური ანალიზი. სამუშაო პროცესი 2016 წლიდან ხორციელდებოდა პროექტის „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“ (WBL) ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) ფასილიტაციით.

აღნიშნული პროექტი თავიდანვე ორიენტირებული გახლდათ პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობაზე, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერებასა და აგრარულ სექტორში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის ფორმირებაზე. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზევე დაინერგა „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების“ მოდელი. დანერგვის პროცესში გამოიკვეთა ისეთი გამოწვევები, როგორებიცაა კერძო სექტორის როლის გაძლიერების საჭიროება, საჯარო-კერძო პარტნიორობის პროცესში კოორდინაციასთან დაკავშირებული სირთულეები, სოფლის მეურნეობის სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობისა და სექტორული გაერთიანების დაფუძნების აუცილებლობა.

აქვე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პროფესიული განათლების შესახებ ახლადმიღებულმა კანონმა შექმნა

თამარ თორია

სამართლებრივი შესაძლებლობა, სისტემაში ჩამოყალიბებულიყო დარგობრივი კომპეტენციის მქონე კერძო სექტორის წარმომადგენელთა გაერთიანება, რომელიც აგრარული პროფესიული განათლების სივრცეში შეასრულებდა მაკოორდინირებელ ფუნქციას. შესაბამისად, პროექტის მხარდამჭერი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობითა და ასოციაციის ძალისხმევით, განხორციელდა სამუშაო შეხვედრები; სექტორული უნარების ორგანიზაციის საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის მიზნით, სასწავლო ტური მოეწყო შვეიცარიაში და მიღებული გამოცდილებისა და ქვეყანაში არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, შემუშავდა კონცეფცია - სექტორული უნარების ორგანიზაციის შექმნა აგრარული მიმართულებით, რომლის საფუძველზეც, 2019 წელს დაფუძნდა დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „აგრო დუო“.

დაფუძნების დღიდან ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება დააგროვა, მათ შორის გამოვყოფდი ქვესექტორებში წევრთა მიერ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით შემუშავებულ საგანმანათლებლო სერვისებს - დეკორატიული მებაღეობის, რძის პროდუქტების გადამუშავებისა და მეხილეობის მიმართულების დუალურ პროგრამებს, ასევე, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების 8 სხვადასხვა პროგრამას.

„აგრო დუო“ აქტიურად იყო ჩართული პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზებულ აქტივობებში, ღია კარის დღეებში, TV და რადიო გადაცემებში, ელექტრონული და ბეჭდური გამოცემების შემუშავებაში, „აგრო დუო“-ს პრომო ვიდეოკლიპების გადაღებაში, უნარების სხვადასხვა კონკურსში, მათ შორის, კონკურსში „აგროგრაფი“. ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა პროფესიული განათლების კვლევებისა და მონიტორინგის მიმართულებებითაც.

ჩვენ მიზნად ვისახავთ აგრარულ სექტორში უნარების განვითარების მექანიზმების ჩამოყალიბებას, პოლიტიკის განსაზღვრისა და წარმართვის პროცესში აქტიურ

თანამონაწილეობასა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას. შესაბამისად, ორგანიზაციის ამოცანები მოიცავს ისეთი საქმიანობების განხორციელებას, როგორებიცაა კვალიფიკაციების შემუშავება/განვითარება, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, ინსტიტუციური განვითარება (ფონდების მოძიება, ახალი სერვისები, მონიტორინგის მექანიზმები) და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია. „აგრო დუო“ ღიაა ახალი წევრებისთვის. დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს დარგში მოქმედი, წარმომადგენლობითი იურიდიული პირი. ორგანიზაციის წესდების საფუძველზე, „აგრო დუო“-ში წევრად მიღების მსურველი იურიდიული პირი მიმართავს ორგანიზაციას, ხოლო მის წევრად მიღების გადაწყვეტილებას იღებს დარგობრივი უნარების ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.

როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ორგანიზაციას, თავმჯდომარის სტატუსით, ხელმძღვანელობს „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“; შესაბამისად, გაწევრიანების მსურველთა მხრიდან სააპლიკაციო განაცხადი უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელ-ფოსტაზე info@gfa.org.ge ან ასოციაციის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, ატენის ქ N16.

ჩვენთვის გამოწვევაა აგრარულ სექტორში მოქმედი მსხვილი ბიზნესსუბიექტების წარმომადგენლობითობა, მათი წევრის სტატუსით ჩართულობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სრული ციკლის განხორციელების პროცესში, თანამონაწილეობა და პარტნიორობის ხარისხი. ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კერძო სექტორის საჭიროებაზე ორიენტირებული მასტიმულირებელი მექანიზმების ინიცირების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს დუალური განათლების განხორციელების პროცესში კერძო სექტორის გაზრდილ ჩართულობას.

„აგრო დუო“-ს ოფიციალური სტატუსის მოპოვების მიზნით, ჩვენი ორგანიზაცია მიმდინარე წელს გეგმავს განაცხადის გაკეთებას, რათა მოვხვდეთ დარგობრივი უნარების ორგანიზაციების კონსოლიდირებულ რეესტრში და პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, კოორდინირებულად გავაგრძელოთ დასახული ამოცანების შესრულება. ამ მიზნით, ვმუშაობთ სექტორული პროფესიული განათლების გრძელვადიანი სტრატეგიის დოკუმენტზე, ვახდენთ წარმომადგენლობითობის დეკლარირებას და არსებული თუ ახალი წევრების სტიმულირებას, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ და გავაძლიეროთ ჩვენი ორგანიზაციის მასშტაბი და შესაძლებლობები.

> **ჩვენ მიზნად ვისახავთ აგრარულ სექტორში უნარების განვითარების მექანიზმების ჩამოყალიბებას, პოლიტიკის განსაზღვრისა და წარმართვის პროცესში აქტიურ თანამონაწილეობასა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას.**

გიორგი აბრამიშვილი

ენერგეტიკის დარგობრივი უნარების ორგანიზაცია

ჩვენს დუო-ში ამ ეტაპზე გაერთიანებულია სამი ასოციაცია: საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაცია (GREDA), მზის ენერგეტიკის ასოციაცია, ქარის ენერგიის ასოციაცია "ვინდ ჯორჯია".

ენერგეტიკის დუო-ს შექმნის მთავარი ინტერესი პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და განვითარებაა. ენერგეტიკის სექტორში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის; სწორედ ამიტომ, დუო-ს ძირითად მიზანს წარმოადგენს დარგში არსებული პროფესიონალი კადრების დეფიციტის შევსება ახალი პროფესიონალებით.

დუო-ს წევრობა შეუძლია ნებისმიერ ასოციაციას, რომელიც ენერგეტიკის სექტორში საქმიანობს. გასაწევრიანებლად საჭიროა დაკავშირება საინიციტივო ჯგუფის წევრ რომელიმე ასოციაციასთან ან მომართვა ელ.ფოსტაზე: info@greda.ge.
ენერგეტიკის დუო-ს მთავარი გამოწვევა პროფესიული განათლების პროგრამების სიმწირეა; ფაქტობრივად, არ არსებობს ქართულ ენაზე შექმნილი სასწავლო პროგრამები. ამასთან, სექტორი ტრენერების ნაკლებობასაც განიცდის.

ენერგეტიკის დუო-ს საინიციატივო ჯგუფის პირველი მთავარი მიზანი

დარგობრივი უნარების ორგანიზაციის სტატუსის მოპოვებაა. შეიქმნება დარგობრივი რუკა, რომელმაც უნდა აჩვენოს ჩვენს სფეროში არსებული პროფესიები, გამოკვეთოს კადრებისა და სასწავლო პროგრამების დეფიციტი.

მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაცია (GREDA) მუშაობს მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟისა და ჰესის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების შემუშავებაზე, რადგან ამ ორი მიმართულებით უკვე ძალიან დიდი დეფიციტია შექმნილი, რაც აფერხებს ქვეყანაში ჰიდრო და მზის ენერგიის მდგრად განვითარებას.

ანა შანშიაშვილი

დარგობრივი უნარების ორგანიზაცია „არტიზანი“

დღეისათვის დუო „არტიზანის“ საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებულია:

- საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია;
- საქართველოს ხის დამამუშავებელთა და ავეჯის მწარმოებელთა ასოციაცია;
- აფხაზეთის ხის დამამუშავებელთა და ხის ავეჯის მწარმოებელთა ასოციაცია;
- ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი - „ICOMOS საქართველო“;
- ავეჯის კლასტერი;
- ქართული კერამიკული ხელოვნებისა და რეწვის ფონდი “თიხის ოფისი“;
- ხელსაქმის საგანმანათლებლო და პოპულარიზაციის საერთაშორისო ასოციაცია.

დუო-ს შექმნის მთავარი მიზანი საქართველოში, არტიზანულ სექტორში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხარისხის გაუმჯობესებაა. არტიზანულ სექტორში ვგულისხმობთ ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა ხის, ქვის, მინის, ლითონის, ქსოვილების (ქსოვა, ქარგვა, თელვა...), ტყავის მხატვრული დამუშავება, სადურგლო საქმე, კერამიკა, მინანქარი, საიუველირო საქმე, რესტაცრაცია-კონსერვაციის ხელობები და სხვა. ყველა ამ სფეროს სჭირდება პროფესიონალები, რეალური დასაქმების პერსპექტივით.

ჩვენი დუო-ს ამოცანებია დარგის შესაბამისი:

- უნარების ეფექტიანი ეკოსისტემის ჩამოყალიბება;
- უნარების პოლიტიკის განსაზღვრა და წარმართვა;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსის პრობლემის გადაჭრაზე მუშაობა და ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა;
- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში.

არტიზან დუო მზად არის, წევრად მიიღოს სფეროს ახალი გაერთიანებები. დარგობრივი უნარების ორგანიზაციის წევრად

მიღების მიზნით, დაინტერესებული იურიდიული პირი მიმართავს დარგობრივი უნარების ორგანიზაციას (ელ ფოსტა: anoshanshiashvili@yahoo.com).

„არტიზანის“ ეკონომიკური სფეროები უმეტესად თვითდასაქმებაზეა ორიენტირებული, ვინაიდან საქართველოში არსებული საწარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პროფესიულ განათლებაში თვითდასაქმებისთვის აუცილებელი საწარმოო უნარების ინტეგრირება, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონებში არსებული საწარმოების გაძლიერება და ეფექტური ჩართვა დუალურ სწავლებაში. აქვე გამოვყოფდით მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსების განვითარების შესაძლებლობას, რომელიც საშუალებას მისცემს პროფესიულ სასწავლებლებს, მოახდინონ სასწავლო პროცესში ამა თუ იმ რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული დარგების ინტეგრირება. ამდენად, გრძელვადიან პროგრამებთან ერთად, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება ჩვენი დუოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება.

დუო „არტიზანის“ ამჟამად საინიციატივო ჯგუფის სახით არსებობს, რომელიც 2022 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ იგი უკვე რეგისტრირებულია არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირად. ამჟამად USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ გრანტის მხარდაჭერით უახლოეს მომავალში ვგეგმავთ:

- დუო-ს სტატუსის მოპოვებას და უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზაციის ფორმალურ აღიარებას;
- არტიზან სექტორის დარგობრივი რუკის ვალიდაციას;
- არტიზან სექტორის 2 კვალიფიკაციის შემუშავებას, რომელიც დაკონკრეტდება დარგობრივი რუკის შემუშავების საფუძველზე;
- პროფესიულ განათლებაში რეწვის კომპანიების ეფექტური ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ორგანიზაციის მდგრადობისთვის, სამომავლოდ ვგეგმავთ დამატებითი სერვისების განვითარებას და ჩვენს სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობით (European Training Foundation, Michelangelo Foundation, World Crafts Council/Europe და სხვა), ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

დავით კიზირია

ICT დუო

ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგობრივი უნარების ორგანიზაციის (ისტ დუო) ინიცირება ჯერ კიდევ წინა, 2022 წელს დაიწყო, როდესაც ხელი მოეწერა მემორანდუმს, „ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმის“ ფარგლებში. მემორანდუმის ხელმომწერთა შორის არიან: საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის კორსორციუმი, საქართველოს ICT კლასტერი, საქართველოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ასოციაცია, ბლოკჩეინ ასოციაცია, ვირტუალური მობილური ოპერატორიების საქართველოს ასოციაცია, ფინტექ ასოციაცია. წელს საინიციატივო ჯგუფს, კიდევ რამდენიმე ინდუსტრიული გაერთიანება შემოურთდა.

IT სფერო ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და აქტუალური მიმართულებაა; პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა ამ სფეროს მნიშვნელობა და სფეროში კონკურენტუნარიან კადრებზე მოთხოვნა. ეს, ერთი მხრივ, ახალ პერსპექტივებს უხსნის ჩვენს მოქალაქეებს; ამ სფეროში განათლების მიღება ადამიანს საშუალებას აძლევს, წარმატებული იყოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პლანეტის ნებისმიერ წერტილში; მეორე მხრივ, ქართულ ისტ ბიზნესს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს, უფრო და უფრო რთულდება კვალიფიციური კადრების მოძიება, დაინტერესება და შენარჩუნება.

პროფესიული განათლების ამოცანა არის ისეთი სისტემის აწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ გამოწვევების დაკმაყოფილებას: მოქალაქეთა შესაბამისი უნარებით აღჭურვას და ქართული ისტ ინდუსტრიის მაღალკვალიფიციური კადრებით უზურნველყოფას.

ეს საკმაოდ რთული ამოცანაა. მისი მიღწევისთვის საჭიროა საზოგა-დოების სხვადასხვა ჯგუფის აქტიური ჩართულობა, მათ შორის,

ბიზნესის ექსპერტიზის გამოყენება. პროფესიული განათლების ახალი მოდელი ითვალისწინებს განსხვავებული ჯგუფების (საჯარო სფერო, ბიზნესი, განათლების პროვაიდერები, დარგის ექსპერტები...) მრავალმხრივი ჩართულობის ინსტიტუციონალიზაციას.

დუო ამ მექანიზმის მნიშვნელონი კომპონენტია. ის აერთიანებს ისტ სფეროს დარგობრივ ორაგანიზაციებს (კლასტერებს, ასოციაციებს, კონსორციუმებს) და წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას, რომელიც მოქმედებს კონსენსუსის პრინციპით. ამ თანამშრომლობას აქვს ძალიან კონკრეტული მიზანი - შექმნას ისტ სფეროში კონკურენტუნარიანი, მოქნილი და თვითგანვითარებადი უნარების ეკოსისტემა.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შევიმუშავეთ დუო-ს დაფუძნებისა და განვითარების „საგზაო რუკა“, ვმუშაობთ წესდებაზე. ჩვენი მიზანია, დუო იყოს ღია და წარმომადგენლობითი, მაქსიმალურად მოიცავდეს ინდუსტრიას. ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ დუო-ს წევრობის მსურველი ორგანიზაციები რეალურად წარმოადგენდნენ დარგს, მათ უკან იდგნენ კომპანიები. დუო-ს გადაწყვეტილებები უნდა იყოს გააზრებული და შედეგიანი. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია ცხადად განისაზღვროს, ვინ იქნებიან გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები და მექანიზმი - როგორ მოხდება გადაწყვეტილებების მიღება.

შემდგომი მნიშვნელოვანი ამოცანა არის დუოს წევრების უნარების განვითარება, დუო-ს ფუნქციების სიღმისეული გაცნობა, რათა დუო-მ შეძლოს მათი სრულფასოვნად აღსრულება.

ამ ფუნქციებიდან ერთ-ერთი მნიშვნველოვანი არის პროფესიის და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება და განახლება. შარშან შევიმუშავეთ ისტ უნარების რუკა და ამ რუკაზე დაყრდნობით შევარჩევთ ორ მიმართულებას, რომელთა პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების განახლება-შემუშავება წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. ზემოთაღწერილი ამოცანების მიღწევაში აქტიურად გვეხმარება USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, ხოლო მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას გვიწევს პროფესიული უნარების სააგენტო.

ლილე შალიკიანი

მშენებლობისა და ინჟინერიის დუო-ს საინიციატივო ჯგუფი

დღეისათვის მშენებლობისა და ინჟინერიის დარგობრივი უნარების ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფი შედგება შემდეგი ორგანიზაციებისგან: ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია/ICCA, ქართული სამშენებლო მასალების კლასტერი (GCMC) საქართველოს კონსულტანტ-ინჟინერთა ასოციაცია, საქართველოს მწარმოებელთა ასოციაცია, FIABCI-GEORGIA, კონსტრუქტორთა ასოციაცია. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია/ICCA არის, გარკვეულწილად, დუო-ს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული პროცესების მაკოორდინირებელი.

მშენებლობისა და ინჟინერიის დუო-ს საინიციატივო ჯგუფისთვის პრიორიტეტულია, სხვადასხვა ფუნქციის განხორციელების გზით, გაუმჯობესდეს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროდუქტის ხარისხი, რომელსაც დღეს ვთავაზობთ მშენებლობისა და ინჟინერიის კერძო სექტორს. ხელშესახები შედეგის მისაღწევად კი მნიშვნელოვანია, საწყის ეტაპზევე გავითვალისწინოთ კომპანიების მოთხოვნები, საჭიროებები, რომლებიც შემდგომში შექმნის საფუძველს რელევანტური პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და იმპლემენტაციისათვის, საბოლოოდ კი, შრომის ბაზარს შესძენს ისეთი თეორიული და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ ადამიანურ რესურსს, რომელიც დააკმაყოფილებს დამსაქმებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მშენებლობისა და ინჟინერიის დუო-ს საინიციატივო ჯგუფი ღიაა, მიიღოს სამშენებლო დარგის წარმომადგენელი ახალი პროფესიული გაერთიანებები/ასოციაციები, რომლებიც გამოხატავენ ინტერესსა და

მზაობას, ჩაერთნენ მოცემულ პროცესებში. სწორედ ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონკრეტული საფეხურებისა და კრიტერიუმების შემუშავება ამ ტიპის ორგანიზაციებისთვის.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, ზოგადად, კერძო სექტორის სპეციფიკა და ისიც, რომ ბიზნესისთვის პრიორიტეტულია შედეგი - ხარისხის გაუმჯობესება დროის მცირე მონაკვეთში. ასეთ შემთხვევაში, ჩვენთვის გამოწვევა იქნება, შევინარჩუნოთ სექტორის ინტერესი; ამისათვის მნიშვნელოვანია, დინამიკურად წარვმართოთ დაგეგმილი აქტივობები და პარალელურად ხელი შევუწყოთ დამსაქმებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის სისტემისადმი ნდობას.

პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერითა და USAID-ის (Industry-led Skills Development Program) დაფინანსებით, დუო-ს საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა აქტივობები, რომელთა პილოტირებასაც, ეტაპობრივად, 1 წლის განმავლობაში მოვახდენთ. თავდაპირველად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოვიპოვოთ დუო-ს ოფიციალური სტატუსი. პარალელურად, ვმუშაობთ მშენებლობისა და ინჟინერიის დარგობრივი რუკის მოდიფიცირებაზე. აქვე აღვნიშნავ, რომ დოკუმენტის მიმდინარე ვერსია დაახლოებით 1 წლის წინ შემუშავდა, GIZ-ისა და პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით და ICCA-ს მხარდაჭერით. ამჯერად გვსურს, სექტორის წარმომადგენელი ორგანიზაციების სპექტრი გავამრავალფეროვნოთ, ჩავრთოთ მასში როგორც ასოციაციის, ასევე დუო-ს საინიციატივო ჯგუფის პარტნიორთა წევრები და ერთობლივი განხილვის შედეგად მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე განვაახლოთ დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ შევარჩიეთ დარგისთვის პრიორიტეტული ორი მიმართულება - შედუღება და მძიმე ტექნიკის ოპერირება (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი). გარდა სტანდარტებზე

კონცენტრირებისა, ვაპირებთ, ჩავერთოთ უშუალოდ საგამოცდო პროცესში (საავტომობილო გზების მშენებლობის პროფესიული პროგრამა). ამის შესაძლებლობა ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციას ამ ეტაპამდეც ჰქონდა, კერძოდ, GIZ-ის პროექტის „კერძო სექტორის ხელშეწყობა და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში მივიღეთ მონაწილეობა როგორც საკვალიფიკაციო გამოცდებში, ასევე შუალედურ შეფასებებში; ვიყავით წარმოდგენილნი შესარჩევ კომისიებში. მიღებული გამოცდილება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, ვფიქრობ, დაგვეხმარება მეტად ეფექტიანად შევასრულოთ კონკრეტული ფუნქცია, ახლა უკვე დუო-ს წარმომადგენლობის რანგში.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ მზადდება სასწავლო საწარმოს სტატუსის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც საინიციატივო ჯგუფი შეიმუშავებს შიდა პოლიტიკის დოკუმენტს; აღნიშნული თანხვედრაში მოვა სახელმწიფოს დადგენილებასთან. ეს იქნება ერთგვარი სამოქმედო გეგმა დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დუალურ პროგრამებში უკვე ჩართული კომპანიები ან ისეთი დამსაქმებლები, რომლებიც სამომავლოდ აპირებენ, პარტნიორობას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მოემზადონ სტატუსის მოსაპოვებლად, რაც შემდეგი წლისთვის უკვე აუცილებელი პირობა გახდება. ჩვენ ვეცდებით, ამ მიმართულებითაც შევუწყოთ ხელი დარგის მომზადებას და გავზარდოთ დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობა.

ვალერი გულბანი

სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და ფიტნესის დუო

თანამედროვე მსოფლიოში სპორტს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-3 მიზანს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფა და ადამიანების კეთილდღეობის ხელშეწყობა ყველა ასაკში. ამავე სულისკვეთით არის შექმნილი დოკუმენტი „ფიზიკური აქტივობის სტრატეგია WHO ევროპის რეგიონისთვის 2016–2025 წწ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავრობებს და მათი ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებს გადამწყვეტი როლი აკისრიათ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გრძელვადიანი ცვლილებების მიღწევაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და ფიტნესის დუო-ს საინიციატივო ჯგუფი აცნობიერებს, რომ სექტორში მნიშვნელოვანია თანამედროვე ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი ადამიანური რესურსის მობილიზება, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური მომსახურების გაწევას. შესაბამისად, ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, სექტორში პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

დღეის მდგომარეობით, სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და ფიტნესის დუო-ს საინიციატივო ჯგუფი აერთიანებს სექტორში არსებულ 11 დარგობრივ ასოციაციას/გაერთიანებას:

- საქართველოს სპორტის, ფიტნესისა და ფიზიკური განათლების ეროვნული ასოციაცია
- საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია
- საქართველოს გირის სპორტის, მასრესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესის) ეროვნული ფედერაცია
- საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ეროვნული ფედერაცია
- საქართველოს სპორტის ფსიქოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია
- საქართველოს მასობრივი სპორტის, ფიტნესისა და ფიზიკური აღზრდის ეროვნული ასოციაცია
- საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და განათლების ფონდი
- ტრენერთა საერთაშორისო კლუბი
- საქართველოს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ალიანსი
- დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება
- სპორტული თაობა

მიუხედავად დუო-ს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლობითობისა, ჩვენი ორგანიზაციის კარი ყოველთვის ღიაა ახალი წევრების მისაღებად, რათა დუო-ს კომპლექსური ფუნქციების განხორციელებისა და უნარების თანამედროვე ეკოსისტემის ჩამოყალიბების პროცესში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სექტორის ექსპერტული ცოდნა და ინტერესები.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერითა და USAID-ის დაფინანსებით, დუო-ს საინიციატივო ჯგუფს განსაზღვრული აქვს 1 - წლიანი სამოქმედო გეგმა კონკრეტული აქტივობებით, რომელთა თანმიმდევრული განხორციელება მოემსახურება სექტორში უნარების განვითარების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.

საწყის ეტაპზე ვგეგმავთ დარგობრივი რუკის შემუშავებას, სადაც მოვახდენთ დარგში არსებული მოვალეობებისა და საქმიანობების იდენტიფიცირებას, რომლის საფუძველზეც, დარგის ექსპერტებისა და უნარების სააგენტოს მეთოდოლოგიური

მხარდაჭერით გავაგრძელებთ პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობას. შედეგად, პროფესიული კოლეჯების მიერ შემუშავდება პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვას. მათ შორის, ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს, რომელთა 78% დღეის მდგომარეობით არ გააჩნია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაძლებლობა ექნებათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით მიიღონ ის ცოდნა და კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარება მათ საქართველოში ფიზიკური აღზრდის პედაგოგებად ღირსეულად დასაქმებაში.

რომ შევაჯამოთ, სპორტის, ფიზიკური აღზრდისა და ფიტნესის დუო-ს საკმაოდ ამბიციური მიზნები აქვს დასახული მომავალი წლებისთვის. პირველ რიგში პროფესიული უნარების სააგენტოდან უნდა მოვიპოვოთ დუო-ს სტატუსი, რათა მივიღოთ კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების განხოციელების უფლება. ამასთანავე, გარდა კვალიფიკაციების განვითარებისა, ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ საქართველოს მასშტაბით სპორტში, ფიზიკურ აღზრდასა და ფიტნესში პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ამ პროცესში როგორც დამსაქმებლების, ასევე პოტენციური სტუდენტების დაინტერესებისა და ჩართულობის უზრუნველყოფაზე. გვჯერა, რომ ჩვენი მიზანმიმართული პოლიტიკით უზრუნველვყოფთ სექტორში კვალიფიციური ადამიანების მობილიზებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს როგორც ცალკეული დაწესებულებების, ასევე სექტორის მდგრად განვითარებას.

WINE DUO / ღვინის დარგობრივი უნარების ორგანიზაცია

ღვინის დარგობრივი უნარების ორგანიზაციას (დუო) მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია პროფესიული უნარებისა და ზოგადად სექტორის განვითარებაში. ქართული ღვინო მსოფლიო ბაზრებს იპყრობს. ჩვენ მუდმივად გვესაჭიროება ახალგაზრდა პროფესიონალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დარგის განვითარებას, ასევე, თავადაც დასაქმდებიან წარმატებით. შესაბამისად, ჩვენი ჩართვა პროფესიულ განათლებაში, თავის მხრივ, ემსახურება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ინდივიდის კეთილდღეობას.
დღეისათვის ღვინის დუოს საინიციატივო ჯგუფში გაერთიანებულნი არიან შემდეგი ორგანიზაციები:

- ქართული ღვინო
- იმერული ღვინის ასოციაცია
- საქართველოს სომელიეთა ასოციაცია
- ქვევრის მზე

ღვინის დარგობრივი უნარების ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბების დროს ჩვენი მთავარი მიზანი იყო ღვინის სექტორში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, დარგისთვის საჭირო პროფესიების იდენტიფიცირება/ განვითარება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სექტორში პროფესიული უნარების განვითარება.

აქვე, აღსანიშნავია, რომ დუო-ს საინიციატივო ჯგუფი ყოველთვის მზად არის წევრად მიიღოს სექტორში არსებული ასოციაციები/

გაერთიანებები, რათა უნარების განვითარების პროცესში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული დარგის წარმომადგენლების ინტერესები, ცოდნა და ექსპერტიზა. ამ ეტაპზე, ვმუშაობთ კონკრეტული კრიტერიუმების ჩამოყალიბებაზე, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც სექტორში არსებული ასოციაციები/გაერთიანებები სურვილისამებრ, შეძლებენ გახდნენ დუო-ს საინიციატივო ჯგუფის წევრები.

დარგობრივი უნარების ორგანიზაცია წარმოადგენს ახალ ინსტიტუციურ მექანიზმს პროფესიული განათლების სისტემაში, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა დუო-ს იმგვარი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც ეფექტიანად განახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

მიუხედავად იმისა, რომ დუო-ს ძირითადი ფუნქციების შესრულების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან გამოიყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი, ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია დამატებითი რესურსების მოძიება. შესაბამისად, გამოწვევებზე საპასუხოდ ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად იმუშავებს. უახლოეს მომავალში, GIZ-ის ხელშეწყობით, ვგეგმავთ დარგის ექსპერტების შერჩევას და დარგობრივი რუკის ვალიდაციას.

ამის საფუძველზე, ღვინის სექტორში დეფიციტური უნარების განვითარების საჭიროებას განვსაზღვრავთ და შესაბამის აქტივობებს დავგეგმავთ.

> **ჩვენი ჩართვა პროფესიულ განვითარებაში ორმხრივ გეგმებს ემსახურება: ეკონომიკის განვითარებასა და ინდივიდის კეთილდღეობას**

თამარ ქიტიაშვილი

უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი

პროფესიული განათლების კვირეული 2023

მიმდინარე წლის 24-28 აპრილს ჩატარდა პროფესიული უნარების კვირეული; განიხილებოდა საკითხები, რომლებიც ეხება პროფესიული განათლების განვითარების გამოწვევებს, გამოცდილების ანალიტიკასა და სამომავლო გეგმებს. დავიწყოთ ანალიტიკით: სად ვართ, საერთაშორისო გამოცდილების თვალსაზრისით და როგორია ჩვენი განვითარების უახლოესი ზონა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უნარების კვირეული დამკვიდრდა ყოველწლიურ ტრადიციულ ღონისძიებად, რომელიც ერთგვარ პლატფორმად იქცა პროფესიული განათლების სფეროსთან დაკავშირებული მხარეების შეკრებისა და გაერთიანებისთვის. კოლეგებთან აზრთა გაცვლა, საინტერესო დისკუსიების მოსმენა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარება, ისევე, როგორც გამოწვევებზე მსჯელობა, გახლავთ კვირეულის მთავარი ამოცანები. ვინაიდან მსჯელობას წინ უნდა უსწრებდეს ანალიზი, ჩვენი კვირეულის პირველივე დღე დაეთმო სხვადასხვა კვლევის წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ ათწლეულზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა ტურინის პროცესის მონაწილეა და პროფესიული განათლების კუთხით ერთგვარ თვითშეფასებას რეგულარულად აკეთებს, კვირეულზე წარდგენილი პროფესიული განათლების განვითარების ანგარიში ჩვენს სფეროში პირველი კომპლექსური, დამოუკიდებელი ეროვნული ანგარიშია. როგორც მოგეხსენებათ, რეფორმის დაწყების დღიდან, ყველა ჩვენი ინტერვენცია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა. თუმცა, ეფექტიანობის ერთიან ინდიკატორებთან მიმართებით დიდი პროგრესის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანას კვლავაც ბევრი გამოწვევა აქვს. განსაკუთრებით გამოვყოფდი პროფესიულ განათლებაში მოსახლეობის ჩართულობის საერთო მაჩვენებელს. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან მიახლოებისთვის, ჩვენი მონაცემის გასამმაგებაა საჭირო. განსაკუთრებული ძალისხმევა კი უნდა მიემართოს, სასკოლო განათლების შემდგომ (მე-9 და მე-12 კლასები), მოზარდთა პროფესიულ განათლებაში პირდაპირი ტრანზიციის გაძლიერებაზე, ვინაიდან განსაკუთრებით მცირეა ამ კატეგორიის აპლიკანტთა გადასვლის მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში. შესაბამისად, უახლოესი პერიოდის მთავარი ამოცანა უნდა იყოს მასშტაბის ინკლუზიური ზრდა, ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესების პარალელურად.

რა სიახლეები ელოდებათ პროფესიულ კოლეჯებს და რა იქნება მათი მთავარი გამოწვევები ამ ერთი წლის განმავლობაში?

სისტემაში ბევრი ცვლილებაა, რაც აისახება კოლეჯების ფუნქციონირებაზე და, იმავდროულად, ეტაპობრივად ზრდის მათ ავტონომიურობას. ავტორიზაციის ახალმა სტანდარტმა გაზარდა კოლეჯების პასუხისმგებლობა; სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ახალი წესი, ინკლუზიური განვითარებისა და მასწავლებელთა დაწესებულების ბაზაზე განვითარების ახლებური გააზრება, თავისთავად უკავშირდება კოლეჯებში მმართველობის სტილისა და კულტურის ცვლილებას და ავტონომიურობასთან ერთად, ზრდის მათ პასუხისმგებლობას. სისტემა ემზადება 2025 წლიდან დაფინანსების ახალი წესის ამოქმედებისთვის, რაც ეფუძნება ფინანსური რესურსის ახლებურად გადანაწილებისა და მიღწევის ინდიკატორებზე დამყარებული დაფინანსების მოდელს და გარკვეულ გამოწვევებთან ერთად, განვითარების უდიდეს შესაძლებლობებსაც შესთავაზებს კოლეჯებს. ეს კი გულისხმობს მათი ოპერირების არსებული მოდალობიდან სრულიად ახალ რეჟიმზე გადასვლას. გარდამავალი პერიოდი სწორედ ნიადაგის მომზადებისთვისაა გამიზნული და სააგენტო ამ მხრივაც მხარს დაუჭერს პარტნიორი კოლეჯების განვითარებას.

რა ძირითადი დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევს კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების შეფასება?

ამ კვლევაში ყველაზე დიდ ყურადღებას, როგორც წესი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი იპყრობს ხოლმე. წლევანდელი ანგარიში ცხადყოფს, რომ დაახლოებით 9-10%-იანი ბიჯით გაუმჯობესებულია როგორც ერთიანი დასაქმების (74%), ასევე სასწავლებელში დაუფლებული პროფესიით დასაქმების (43%) და თვითდასაქმების მაჩვენებლებიც. აღნიშნული ტენდენცია პოზიტიურია და პოსტ-პანდემიურ ეფექტსაც ასახავს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი

თათა ჯაიანი

პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი კვლავაც გაიზრდება, თუმცა შედარებით მცირე ბიჯებით.

რა მოლოდინები გაქვთ დარგობრივი უნარების ორგანიზაციების მიმართ?

დარგობრივი უნარების ორგანიზაციების გამოჩენა პროფესიული განათლების ველზე გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. კვირეულმაც ცხადყო, რომ დადგა დრო, როცა დარგობრივი გაერთიანებები და განათლების სექტორის მუშაკები ერთ ენაზე ავმეტყველდით. ათი წლის წინ ამაზე ოცნებასაც ვერ გავბედავდით. კვირეულის მეორე დღეს გაიმართა პანელური დისკუსია, რომელიც 7 დუო-ს წარმომადგენლისთვის საკუთარი ორგანიზაციის ხედვისა და გეგმების წარდგენის შესაძლებლობად იქცა. აუდიტორიისთვის თვალსაჩინო გახდა, რამდენად სწორად ხედავენ დარგები თავის როლს, რამდენად აქვთ გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ სახელმწიფომ უმნიშვნელოვანესი ფუნქციების დელეგირების გზით განუსაზღვრა და როგორ აისახება მათი მონაწილეობის ხარისხი უნარების შესაბამისობაზე მათ სექტორებში. ვფიქრობ, მოლოდინები მაღალია, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ გუშინ დაიწყეს ამ პროცესებში მონაწილეობა და მათ მიმართ არსებული მოლოდინებიც და წაყენებული მოთხოვნებიც მათი რესურსის ადეკვატური უნდა იყოს. ჩვენი მიდგომაა, ფუნქციების განხორციელების ერთად დაწყება, რაც ერთი მხრივ, მეტ თავდაჯერებას მისცემს ჩვენს პარტნიორებს და მეორე მხრივ, ყველასთვის იქნება გაზიარების, სწავლისა და ურთიერთგანვითარების შესაძლებლობა.

ე.წ. NEET-ები -- ახალგაზრდები, რომლებიც ჩართულნი არ არიან არც განათლების სისტემაში და არც შრომის ბაზარზე -- რა გეგმები გაქვთ მათთან დაკავშირებით?

განვითარების შეფასების ანგარიშის კიდევ ერთი თვალსაჩინო მიგნება სწორედ პასიურ ახალგაზრდებს უკავშირდება. ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან მიახლოებისთვის ძალისხმევის გაორმაგებაა საჭირო. განსაკუთრებით საყურადღებოა ეთნიკური უმცირესობის ჯგუფები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირები და ახალგაზრდები სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახებიდან. შემუშავდა ინკლუზიური განვითარებისა და სხვადასხვა ფსიქო-სოციალური სერვისის ახალი ხედვა. ასევე, შემუშავდა სახელმწიფო ენის სწავლების ახალი მოდელი; გაანალიზდა NEET ახალგაზრდების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერის მექანიზმები. სააგენტო გააძლიერებს კოლეჯებს და ხელს შეუწყობს მათ ამ სერვისების დანერგვაში.

პროფესიულ განათლებას ახალგარდების დაახლოებით 30% ტოვებს. რა არის ამისი მთავარი მიზეზი და რას გეგმავს სააგენტო ამ მაჩვენებლის შესამცირებლად?

გადინების მცირედ კლებადი, თუმცა კვლავ ძალიან მაღალი მაჩვენებელი ერთ-ერთი მთავარი

გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის. ამ ტენდენციას ბევრი მიზეზი აქვს, თუმცა მთავარ გავლენის ფაქტორებს მაინც წარმოადგენს კარიერის მართვისა და კონსულტირების სუსტი სერვისები ქვეყანაში, მათ შორის, სასკოლო სივრცეში. პროფესიულ განათლებაში ის ზრდასრულები, რომლებიც ჰობით დაკავების მიზნით ან იმ იმედით მიდიან კოლეჯებში, რომ სხვაგან სწავლას ან სამსახურს შეუთავსონ პროფესიული სტუდენტობა, მალევე, გაცდენების მიზეზით ამოირიცხებიან სასწავლებლებიდან, რაც თავის მხრივ, კვლავ დაბალ ინფორმირებულობასა და მათთვის სხვა არჩევანის შეზღუდულობაზე მეტყველებს; გავლენის ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოც, რომელსაც ახალგაზრდებს ვახვედრებთ. ხშირად ჩვენი სერვისები და მიწოდების გზები არ არის თანხვედრაში მათ მოლოდინებთან. თანამედროვე ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით კი სოციალური გამოწვევების მქონე პირებისთვის, მხოლოდ აკადემიური მხარე არ არის საკმარისი ხანგრძლივი პერიოდით სასწავლებელში დარჩენისათვის. სააგენტომ 2022 წლიდან განაახლა და კიდევ უფრო ფართო მასშტაბით აამოქმედა სკოლებში პროფესიული უნარების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც საორიენტაციო და სასერტიფიკატო კურსების მეშვეობით ავითარებს მონაწილეთა საბაზისო უნარებს და აფართოებს ჰორიზონტს მათი კარიერული გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად. შემუშავდა კარიერის მართვის სისტემის განვითარების სტრატეგია, სსსმ პირთა კარიერული ორიენტირებისა და მხარდაჭერის ახალი მოდელი, შეიქმნა კოლეჯების კარიერის კონსულტანტთა ქსელი; 2022 წლიდან ამოქმედდა ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და ინიციატივების მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც კოლეჯებში საკლუბო, საკვანძო კომპეტენციათა განმავითარებელი საქმიანობის ხელშემწყობია. რაც მთავარია, ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფისთვის, ყოველწლიურად ფართოვდება მომზადება-გადამზადების პროგრამების სპექტრი, რომელიც სააგენტოში მოქმედი სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით ფინანსდება და ქმნის ახალ შესაძლებლობებს მოკლე ვადაში ზრდასრულთა გაძლიერებისთვის. ეს ხელს შეუწყობს მათი ნაკადის მიმართვას სასერტიფიკატო კურსებისკენ და გამოათავისუფლებს რესურსს კოლეჯებისთვის, სასკოლო განათლებიდან მეტი მოზარდის მისაღებად, პირდაპირი ტრანზიციის გზით.

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის?

ამ კუთხით ბევრია სამუშაო და საქმე მხოლოდ პროფესიათა პოპულარიზაციას არ ეხება; ჩვენ ჯერ კიდევ ვებრძვით საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებულ სტერეოტიპებს. კვლევამაც ცხადყო, რომ პროფესიული განათლების შესახებ ცნობადობის ზრდასთან შედარებით, ნელი ტემპით იცვლება განწყობები ჩვენი სფეროს მიმართ. თუმცა, განსაკუთრებით იმედის მომცემია ბიზნესის გააქტიურება, რადგან არ არსებობს იმაზე უკეთესი დარწმუნების გზა ახალგაზრდა ადამიანისთვის, ვიდრე მისი წარმატებული თანატოლის ნაამბობი და ბიზნესის მიერ გაკეთებული რეალური შეთავაზებაა. დღეს ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ ჩვენი პარტნიორებით ბიზნესიდან, სხვადასხვა დარგიდან, თანამშრომლობით დარგობრივ სამინისტროებთან და დარწმუნებული ვართ, რომ ეს გაერთიანებული ძალისხმევა აუცილებლად მოგვცემს შედეგს.

ეკატერინე მაჭარაშვილი, 29 წლის

მე ვარ ეკატერინე მაჭარაშვილი, ვცხოვრობ ლაგოდეხში. მყავს 2 შვილი. ვარ მარტოხელა დედა. როდესაც ორი შვილით მარტო აღმოვჩნდი ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე, დიდი სტრესის მიუხედავად, მივხვდი, რომ სულიერად არ უნდა დავცემულიყავი და გადავწყვიტე, შემესწავლა ისეთი პროფესია, რომელიც არა მარტო საკუთარი თავისა და შვილების რჩენის შესაძლებლობას მომცემდა, არამედ საქმის კეთების პროცესში ბედნიერებას და კმაყოფილებასაც მომიტანდა. კოლეჯ „აისში“ შევარჩიე თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩავირიცხე და წარმატებით ვაგრძელებ სწავლას. მართალია, ქალისთვის ცოტა რთული პროფესიაა, მაგრამ სირთულეებს არ ვუშინდები. ვფიქრობ, რომ ხელს შევუწყობ საკუთარი თავის განვითარებას და ვიქნები ინსპირაცია იმ ქალებისთვისაც, რომლებიც ვერ ბედავენ გადალახონ არსებული სტერეოტიპები. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ არ არსებობს ქალისა და მამაკაცის პროფესია; ქალებს თავისუფლად შეუძლიათ ისწავლონ და განვითარდნენ ნებისმიერი მიმართულებით.

კოლეჯმა ძალიან დიდი მოტივაცია მომცა იმ მხრივ, რომ გამოვიყენო ეს პროფესია არა მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის და დასაქმებისთვის; მინდა, ასევე, მაგალითი ვუჩვენო ოჯახური ძალადობის მსხვერპლ მანდილოსნებს და მოვუწოდო, რომ ცხოვრება გრძელდება და თუკი დღეს კაბინეტში ვერ დავჯდები იმის გამო, რომ არ მაქვს უმაღლესი აკადემიური განათლება, ამით ცხოვრება არ სრულდება. სამაგიეროდ, შემიძლია ვიყო თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის კარგი სპეციალისტი, შემიძლია მუშაობა, განვითარება და ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევა. ვფიქრობ, ძალიან გამომადგება კოლეჯში მიღებული ცოდნა ჩემი მიზნების მისაღწევად.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს პროფესია არ არის მარტივი ქალისთვის. ვინც იგებს, რომ ამ პროფესიაზე ვსწავლობ, ყველა გაოცებულია. უმრავლესობა მეუბნება, რომ ქალისთვის შეუფერებელი პროფესიაა და დასაქმება გამიჭირდება. თუმცა, მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი აზრით, ყველა ქალს შეუძლია აირჩიოს პროფესია თავისი გემოვნების მიხედვით და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება. მე მინდა ჩემი არჩევნით დავარწმუნო ადამიანები, რომ ქალსაც ისევე შეუძლია ამ პროფესიაში განვითარება და საქმიანობა, როგორც კაცს.

პირადად მე მსურს, მქონდეს საკუთარი ბიზნესი - შევქმნა მომსახურების სერვისი აღნიშნული მიმართულებით, დავასაქმო რამდენიმე ადამიანი და მოვემსახურო მათ, ვისაც აღნიშნული სერვისი სჭირდება. ვფიქრობ, ამაში საოცარი არაფერია და წარმატებასაც მივაღწევ. მოხარული ვიქნები თუ ჩემი ამ არჩევნით და გადაწყვეტილებით მივაღწევ ფინანსურ დამოუკიდებლობასაც და არსებულ სტერეოტიპებსაც დავარღვევ.

ჩემს თანატოლებს ვეტყოდი, რომ სწავლა არასოდროს არის გვიან! შეისწავლეთ ის პროფესია, რომელიც გაინტერესებთ და თავს ბედნიერად გაგრძნობინებთ.

განვითარდით და იმუშავეთ თქვენივე წარმატებისთვის!

კოლეჯ „აისის“ ლაგოდეხის ფილიალის, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების სპეციალობის სტუდენტის ისტორია

მარიამ ბოჭორიშვილი, 26 წლის



“

პროფესიულ კოლეჯში სწავლა საშუალებას გაძლევს, მოკლე დროში შეისწავლო პროფესია და, იმავდროულად, მიიღო ხარისხიანი განათლება, რაც განპირობებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. ასევე, პროფესიულ კოლეჯში სწავლის დროს გაქვს შესაძლებლობა, გაიარო პრაქტიკა და შემდგომ დასაქმდე.

ნამდვილად გაამართლა ჩემმა კოლეჯმა, რადგან უკვე რამდენჯერმე ჩავაბარე და ვისწავლე სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, პირველად დავამთავრე პროფესიული საგანმა-ნათლებლო პროგრამა „მეღვინე“, შემდგეგ - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, ამის შემდეგ გადავწყვიტე, ცოდნა კიდევ უფრო გამეღრმავებინა და ვისწავლე პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ვაზის სხვლა-ფორმირება“. ახლა ვსწავლობ პროფესიული მომ-ზადების პროგრამაზე „ვენახის გაშენება და აგროტექნოლოგია“.

ამჟამად დასაქმებული ვარ სსიპ „ღვინის ეროვნულ სააგენტოში“ და ვმუშაობ ვენახების კადასტრის მიმართულებით. სამომავლოდ მინდა შევქმნა საკუთარი საწარმო როგორც მევენახეობის, ისე მეღვინეობის კუთხით.

ჩემს თანატოლებს ვეტყოდი და ვურჩევდი, რომ პროფესიულ კოლეჯში სწავლა მოგცემთ შანსს მინიმუმ 1 წელში დაეუფლოთ სასურველ პროფესიას და გააგრძელოთ მუშაობა არჩეული მიმართულებით. ასევე ვეტყოდი, რომ პროფესიულ კოლეჯში სწავლა დამაკნინებელი არაა, პირიქით, მე ამაყი ვარ, რომ დავამთავრე პროფესიული სასწავლებელი და დღესაც ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი ვარ.

მარიამ ლაშხი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან არსებული პროფესიული განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე

პროფესიული განათლება მთავრობის პრიორიტეტია

ქალბატონო მარიამ, პროფესიული განათლება მთავრობის პრიორიტეტია. გთხოვთ, გვითხრათ, რას ნიშნავს ეს კონკრეტული აქტივობების სახით?

პროფესიულ განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასაქმების მაჩვენებლის ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. განათლების ეს საფეხური ყველაზე უფრო სწრაფად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს; სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად არის განსაზღვრული და ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი იდგმება.

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში სრულიად შეიცვალა სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. დამტკიცდა კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოს შესაქმნელად. ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომლის საფუძველზეც, საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი თანამშრომლობით, შეიქმნა პროფესიული უნარების სააგენტო, გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტში პროფესიული განათლებისათვის გამოყოფილი თანხები; სახელმწიფოს ძალისხმევით, იზრდება ამ მიმართულებით საერთაშორისო საგრანტო

დაფინანსება. ამ ყოველივემ, თავის მხრივ, გაზარდა საზოგადოების ინტერესი პროფესიული განათლების მიმართ, თუმცა რჩება არაერთი გამოწვევა, რომლის დაძლევაც ძალიან მნიშვნელოვანია.

პროფესიული განათლების ბიუჯეტი 7-ჯერაა გაზრდილი 2012 წელთან შედარებით. პროფესიულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 2019 წელს გაიზარდა 62%-მდე. 2013-2021 წლებში სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში; მოხდა მათი ინფრასტრუქტურის მორგება ᲨᲨᲛ და სსსმ პირთა საჭიროებებზე; მათ შორის, 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა უნივერსალური დიზაინის პროექტი. წინა წელთან შედარებით, ასევე, გაზრდილია პროფესიული განათლების საერთო დაფინანსება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მასწავლებლების დაფასება და აღიარებაა. ამ ჭრილში გაიზარდა პროფესიულ მასწავლებელთა ხელფასებიც, ჯერ მცირედით, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ეს ზრდა გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა აქვს განსაზღვრული.

მიმდინარე წელს, პროფესიული განათლების მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს არაერთი აქტივობა. მათ შორის, კომიტეტი გეგმავს თემატურ მოკვლევას პროფესიულ განათლებაში შრომის ბაზართან თავსებადი პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა და დაფინანსების მოდელის ანალიზის კუთხით. თემატური მოკვლევა არის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ინსტრუმენტი, რომელსაც კომიტეტი იყენებს აქტუალური საკითხის შესწავლისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნის შემუშავებისათვის. მოკვლევის დასასრულს, გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ, მომზადდება რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის.

გარდა თემატური მოკვლევისა, იგეგმება საკომიტეტო მოსმენები პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის კუთხით არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული ორიენტაციის პროგრამების დასაქმების შესაძლებლობების ზრდაზე გავლენის შეფასების მიზნით.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს პროფესიული განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. საბჭო დაკომპლექტებულია როგორც კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებით, ისე დარგის ექსპერტებით. საბჭოს ძირითადი მიზანია, კომიტეტს ხელი შეუწყოს დარგში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა და აქტუალური და პრობლემური მიმართულებების გამოკვეთაში. სწორედ საჯარო კოლეჯების ხელმძღვანელების წინადადების საფუძველზე, მიმდინარე წელს, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში. როგორც მოგეხსენებათ, მანამდე არსებული ჩანაწერი არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. დაწესებულებებში პროფესიული ორიენტაციის პროგრამების დასაქმების შესაძლებლობების ზრდაზე გავლენის შეფასების მიზნით.

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს პროფესიული განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. საბჭო დაკომპლექტებულია როგორც კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებით, ისე დარგის ექსპერტებით. საბჭოს ძირითადი მიზანია, კომიტეტს ხელი შეუწყოს დარგში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასა და აქტუალური და პრობლემური მიმართულებების გამოკვეთაში. სწორედ საჯარო კოლეჯების ხელმძღვანელების წინადადების საფუძველზე, მიმდინარე წელს, საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში. როგორც მოგეხსენებათ, მანამდე არსებული ჩანაწერი არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

პროფესიული განათლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის წარსული, როდესაც ის არ ითვლებოდა განათლების მიღების სასურველ გზად. პრესტიჟის ეს დაბალი დონე დღესაც არ არის ბოლომდე გამოსწორებული. რა კეთდება პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის ან რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში?

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და საზოგადოებისთვის პროფესიული განათლების სიკეთეების სწორად მიწოდების საკითხი. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი იდგმება როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან. განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტი 2022 წლიდან გახდა „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს“ პარტნიორი. პარლამენტმა დააწესა სპეციალური ჯილდო ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის მხარდაჭერისათვის.

ყველაზე უფრო დიდი პოპულარიზაცია, რეალური მაგალითების ჩვენებაა. უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები სასწავლებლის დამთავრების ზეიმზე ქუდებს აფრიალებენ, პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები კი - ხელშეკრულებებს. ყველაზე მეტად ეს დაეხმარება სფეროს პოპულარიზაციაში. ამისათვის კომიტეტში დაგეგმილია

კონკრეტული წამახალისებელი ინსტრუმენტების შემუშავება, უცხოურ საუკეთესო მაგალითებზე დაყრდნობით.

თქვენი ინიციტივით შესაძ-ლებელი გახდა პროფესიული სტუდენტებისთვის სტაჟირების პროგრამის გავლა საქართვე-ლოს პარლამენტში. გთხოვთ, გვითხრათ მეტი ამ ინიციატივის შესახებ.

პროფესიული განათლების პოპულარიზების მიზნით, 2022 წელს ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონში, რითაც განისაზღ-ვრა საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის ძირითადი მიმართულებები და სტაჟიორი-სთვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები. ამ კანონის მიხედვით, სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული განათ-ლების საფეხურზე (დამამთავრე-ბელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან/და დასრულებუ-ლი აქვს პროფესიული განათლე-ბის ერთ-ერთი საფეხური.

აღნიშნული ცვლილება პროფესიული განათლების სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, გაეცნონ საჯარო სამსახურის სპეციფიკას, მიიღონ აუცილებელი გამოცდილება, მეტი ინფორმაცია სამომავლო პროფესიაზე და, საბოლოო ჯამში, დასაქმდნენ საჯარო სამსახურში. აღნიშნული, რა თქმა უნდა, გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და მოთხოვნას ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე.

ამ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა სტაჟირების გავლის წესთან და საჯარო სამსახურში პროფესიული განათლებით დასაქმებასთან დაკავშირებით; სამუშაო პროცესში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი აქტიურად არის ჩართული. სიახლეების შესახებ უახლოეს მომავალში გაცნობებთ.

ახალგაზრდებისა და უმუშევარი ზრდასრულებისთვის პროფესიული განათლება წარმატებული დასაქმების უმოკლესი და ყველაზე გამართლებული გზაა. რას ეტყოდით მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ სჯერა ამ გზის რეალური წარმატების. თქვენი მესიჯი მათთვის.

როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ პროფესიული განათლება ღირსეული დასაქმების ყველაზე უმოკლესი და გამართლებული გზაა. განათლების ეს საფეხური საშუალებას იძლევა, შრომის ბაზარს ყველაზე ხანმოკლე პერიოდში მიაწოდოს მის საჭიროებებზე მორგებული კვალიფიციური კადრები, რაც ქვეყანაში დასაქმების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ უმნიშვნელოვანეს შესაძლებლობებს ქმნის.

წარმატების რეალური მაგალითებით უნდა დავარღვიოთ „უდიპლომო სასიძოს“ მითი ჩვენს ქვეყანაში. მთავარია საჭირო ცოდნის მიღება და მისი სწრაფი რეალიზება; ამას კი ყველაზე უფრო ეფექტურად პროფესიული განათლება უზრუნველყოფს. დარეგისტრირდით პროფესიულ პროგრამაზე და გახდით მაგალითი სხვებისთვისაც!

> **“ პროფესიულ განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასაქმების მაჩვენებლის ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.**

მარიამ სიჭინავა, SBA

მე დაინტერესებული ვიყავი საბაჟო მიმართულებით მიმეღო განათლება, თუმცა არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰქონდა ამ პროფესიის შესაბამისი სასწავლო პროგრამა, გარდა სასერტიფიკატო კურსებისა, რომლებიც არსებული ცოდნის გაღრმავებისთვის უფრო არის განკუთვნილი. აქედან გამომდინარე, ავირჩიე პროფესიული კოლეჯი „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA“.

მინდა აღვნიშნო რომ, პროფესიულ კოლეჯში შეგიძლია დაეუფლო იმ პროფესიებს, რომლებსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვერ მიიღებ.

“

შედეგმა გადააჭარბა მოლოდინს: სასწავლებელში კარგად არის შერჩეული მოდულები, ყველაფერი მიმართულია ერთი მიზნისკენ - სტუდენტმა მიიღოს მაქსიმალური ცოდნა. ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკის გავლის შესაძლებლობაც, რომელსაც გვაძლევს კოლეჯი, რადგან თეორიულ ცოდნასთან ერთად, აუცილებელია სასწავლო პრაქტიკის გავლაც;

კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და არის საოცრად სასიამოვნო ურთიერთდამოკიდებულება პროფესიულ მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის, რაც აადვილებს ცოდნის მიღებას.

ამჟამად ვეუფლები საბაჟო საქმეს, თუმცა ვაპირებ სხვა პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებასაც, რადგან გვაქვს უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა. მომავალში ვაპირებ აქ მიღებული ცოდნა გამოვიყენო პრაქტიკაში და დავსაქმდე ჩემი პროფესიით.

ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან დაინერგა ელექტრონულ-დისტანციური მომსახურებები, კერძო სექტორში გაიზარდა მოთხოვნა აღნიშნულ პროფესიაზე.

ჩემს თანატოლებს ვეტყოდი, რომ აიჩიონ მათთვის საინტერესო პროფესია. ნებისმიერ სფეროში საჭიროა მუდმივი სწავლა, სიახლეების გაცნობა. დამეთანხმებით, რომ უნდა ვიყოთ საუკეთესოები არჩეულ პროფესიაში; ამისთვის კი საჭიროა ბევრი სწავლა და შრომა. „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA“ გვაძლევს ყველა შესაძლებლობას, ვიყოთ საუკეთესოები არჩეულ პროფესიაში.

SBA საქართველოს ბიზნესის აკადემია
BUSINESS ACADEMY OF GEORGIA

გიორგი გამყრელიძე

ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი

ნებისმიერი პროფესია ხელოვნებაა, გააჩნია, როგორ მიუდგება მას ადამიანი

ბატონო გიორგი, როგორია შრომის ბაზრის არსებული ტენდენციები? რომელ პროფესიებზეა განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა დღეს საქართველოში?

შრომის ბაზრის ტენდენციები უნდა გავიაზროთ არა მხოლოდ რაოდენობრივი კუთხით, თუ რომელ პროფესიებზეა მაღალი მოთხოვნა, არამედ უნდა შევხედოთ შრომის მწარმოებლურობას ეკონომიკური სექტორისა და პროფესიული ჯგუფების მიხედვით, რათა უფრო მომხიბვლელი იყოს ახალგაზრდებისთვის შემოსავლებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისით. მაღალი მოთხოვნა შესაძლოა, განპირობებული იყოს პოზიციაზე სამუშაო ძალის მაღალი დენადობით, რაც მუდმივად იძლევა მოთხოვნას ერთსა და იმავე ვაკანსიაზე. მაგალითისთვის, მოთხოვნა დიდია ვაჭრობის სექტორში მოლარე-კონსულტანტის პოზიციაზე, თუმცა ეს ინტერესი არ არის გამოწვეული დაბალი მწარმოებლურობით. ეს ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ცდილობენ, გააანალიზონ შრომის ბაზრის ტენდენციები და პროფესიული არჩევანი შრომის ბაზრის დინამიკას დაუკავშირონ.

2022 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალია მოთხოვნა ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში და 2022 წელს, გასულ წელთან შედარებით, დასაქმება ამ მიმართულებით 33%-ით არის გაზრდილი. დიდი მოთხოვნაა: პროგრამისტებზე, ICT მომსახურების მენეჯერებსა და გაყიდვების სპეციალისტებზე. ეს ის პროფესიებია, რომლებიც საკმაოდ მაღალანაზღაურებადიც არის და მოთხოვნადიც.

მოთხოვნაა სასტუმროებისა და რესტორნების, დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის სექტორებში; მოთხოვნაა ენერგეტიკის სექტორში და ეს აისახება ზოგიერთ პოზიციაზე არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობაზე. მუდმივი და სტაბილური შემოსავალი აქვთ ადამიანებს, რომლებიც დარგის პროფესიონალები არიან. საფუძვლიანი განათლების მიღება და შემდეგ განვითარება აუცილებელია იმისათვის, რომ შრომის ბაზარზე სიცოცხლისუნარიანობა შევინარჩუნოთ.

შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ აუცილებელია, გვქონდეს კომპლექსური ხედვა შრომის ბაზრის ტენდენციების სათანადოდ გასაანალიზებლად, სადაც დიდ ადგილს დავუთმობთ შემოსავლისა და კარიერის განვითარების შესაძლებლობებს. საქმე, რომელიც გვინდა ვისწავლოთ, უნდა მოგვწონდეს და შემოსავალსაც გვპირდებოდეს. ამისათვის ბევრი უნდა ვისწავლოთ.

პროფესიული განათლება ჯერ კიდევ არ არის საკმარისად პოპულარული ახალგაზრდებში. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა უფრო ხშირად მიიღონ გადაწყვეტილება პროფესიული განათლების სასარგებლოდ?

პროფესიული განათლების პოპულარობა პირდაპირ კავშირშია იმ პირობასთან, თუ რამდენად განიხილავენ ახალგაზრდები პროფესიულ განათლებას კარიერული წინსვლის კუთხით. რას ნიშნავს, იყო წარმატებული ადამიანი? როგორ გამოიყურება მათთვის წარმატებული ადამიანი? ბოლო პერიოდში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებისთვის კარიერული წინსვლა ასოცირდება უმაღლეს განათლებასთან, ხოლო წარმატებული ადამიანის სახე უკავშირდება საოფისე გარემოში მომუშავე პირს.

ადამიანი დღის უმთავრეს ნაწილს სამსახურში ატარებს. მას აქაც და სახლშიც ესაჭიროება სიმშვიდე, ესთეტური და კულტურული გარემო. სამსახურში, სამუშაო ადგილზე, ნებისმიერი საქმის შესრულებისას, აუცილებელია, გაიზარდოს ადამიანისადმი კეთილგანწყობა, კულტურის აღქმა და ყველა პროფესია და ყველა საქმე იქცეს ხელოვნებად. რეალურადაც ხომ შეიძლება ყველა პროფესიის ხელოვნების დონეზე აყვანა; გააჩნია, როგორ დაინახავს ადამიანი საკუთარ საქმეს. თუ დამსაქმებელი მხარს უჭერს ახალგაზრდას ორგანიზაციულ ინტეგრაციაში, თუკი კურსდამთავრებული თავადაც შრომისმოყვარე და პროდუქტიულია, ეს ყოველივე ხელს შეუწყობს პროფესიული ჯგუფების შესახებ პოზიტიური სურათის ჩამოყალიბებას და შეამცირებს საზოგადოებაში პროფესიული განათლების მიმართ სტერეოტიპების დამკვიდრებას.

რა დონეზეა პროფესიული განათლებისა და ეკონომიკის განვითარების ურთიერთკავშირი ამჟამად საქართველოში? როგორია თქვენი სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით?

მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს თანამშრომლობა კერძო სექტორსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის. თანამშრომლობა უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ რაიმე ფორმით რაოდენობრივ ან პროცენტულ ზრდას, არამედ, აღმატებული მიზნების შესასრულებლად, ერთობლივ ქმედებებსაც, რომლებიც თანაბრად საინტერესო და სარგებლის მომტანი იქნება მხარეებისათვის. თანაბარი სარგებლის მიღების ფორმულა განამტკიცებს კერძო სექტორის დაინტერესებას პროფესიული სტანდარტის შემუშავების, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში მონაწილეობის, სტუდენტებისათვის სამუშაო პრაქტიკის უზრუნველყოფისა და განათლებაში ინვესტიციების განხორციელების კუთხით.

ზურაბ ოხანაშვილი, 45 წლის

“

კოლეჯში სწავლა გადავწყვიტე ხელობის შესწავლის მიზნით, რომელიც შემდგომ დასაქმებაში დამეხმარებოდა. არჩევანი კოლეჯ ,,განთიადზე“ შევაჩერე და ავირჩიე ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო პროფესია - ელექტრობა.

პროფესიული კოლეჯები, კერძოდ კოლეჯი ,,განთიადი“ არაჩვეულებრივ შესაძლებლობას სთავაზობს ახალგაზრდებს სახელმწიფოს სრული დაფინანსებით დაეუფლონ მათთვის საინტერესო პროფესიას და აიღონ პროფესიული დიპლომი.

გულწრფელად გეტყვით, რომ კოლეჯმა ,,განთიადმა“ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა - არაჩვეულებრივ პედაგოგებთან მოვხვდი, რამაც მეტი მოტივაცია მომცა, უკეთ შემესწავლა ელექტრიკოსის პროფესია. სწავლის პერიოდში, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, ენერგო-პრო ჯორჯიამ სტიპენდია დამინიშნა. სწავლის დასრულების შემდგომ მალევე დავსაქმდი ჩემი პროფესიით, რაც ჩემი ოცნება იყო. ამჟამად ვმუშაობ ქ.გორის სამხედრო ჰოსპიტალში ელექტრიკოსად.

ვგეგმავ, შემდეგ ბლის პროფესიასაც დავეუფლო; უკვე დავრეგისტრირდი ჩემს საყვარელ კოლეჯ ,,განთიადში“.

ჩემს თანატოლებს ვურჩევდი, არ დაკარგონ შესაძლებლობა, რომელსაც კოლეჯი ,,განთიადი“ და, ზოგადად, პროფესიული კოლეჯები იძლევიან, დაეუფლონ პროფესიას სახელმწიფოს სრული დაფინანსებით და მიიღონ სახელმწიფოსგან აღიარებული პროფესიული დიპლომი.

მინდა მადლობა გადავუხადო კოლეჯ ,,განთიადს“ და მის გუნდს მოცემული შესაძლებლობისთვის.

ლიდერობა პროფესიულ განათლებაში

2023 წლის 23 ივნისს ბათუმის უნივერსიტეტმა ერთ ძალიან საინტერესო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენცია ეხებოდა ლიდერობის თემას პროფესიულ განათლებაში. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემოღებამ, ინტეგრირებული პროგრამების დამკვიდრებამ, ინტერნაციონალიზაციის თემამ სასწავლებლების ლიდერები გამოწვევების წინაშე დააყენა და მათ ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად თანადგომა ესაჭიროებათ. ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს ლიდერის პროფესიული სტანდარტი ან საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს სასწავლებლის ხელმძღვანელს, გააკეთოს საკუთარი უნარების თვითშეფასება და დაგეგმოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უნარების სააგენტოს, პროფესიული საგანმათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლები და კოლეჯების ხელმძღვანელები.

ჩვენ ყველა მათგანს ერთი შეკითხვით მივმართეთ: რა როლი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ლიდერს რეფორმის იმპლემენტაციაში და როგორ ხედავთ მათი პროფესიული განვითარების გზას და შესაძლებლობებს?

თამარ კვინიკაძე, განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი:

ლიდერი მუდმივად უნდა ზრუნავდეს ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე, გააჩნდეს კრიზისების მართვის უნარი, შეეძლოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება; უნდა შექმნას სტუდენტზე მორგებული უსაფრთხო სასწავლო გარემო; ჰქონდეს სწორი დაგეგმვის, გუნდში მუშაობის, ორგანიზებისა და ობიექტური თვითშეფასების უნარი.

კახაბერ ერაძე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე:

პროფესიული განათლების განვითარების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, აქტიურად დავიწყოთ მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიდერის როლზე. კოლეჯის ხელმძღვანელი წარმოგვიდგენია როგორც ადმინისტრაციულ, ისე საგანმანათლებლო ლიდერად, რომელიც სწორად იყენებს კოლეჯის ავტონომიურობის ხარისხს, ეფექტიანად განკარგავს და ავითარებს მატერიალურ, ფინანსურ, საინფორმაციო და ადამიანურ რესურსებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზებას, კერძო სექტორის საჭიროებების გათვალისწინებით. ეს მაღალ კომპეტენციას მოითხოვს ლიდერისაგან, რაც სისტემის შემდგომი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

შორენა ჯაფარიძე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე:

მსოფლიოში აღიარებული ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების (მაგალითად, ხარისხის ტოტალური მართვა - TQM, ხარისხის ევროპული პრემია - EFQM, ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები და სხვა) კრიტერიუმებს შორის „ლიდერობას“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. ავტორიზაციის შემთხვევაშიც იგივე პრინციპი მოქმედებს. იმისათვის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პროცესმა მიაღწიოს თავის უმთავრეს მიზანს - ხარისხის განვითარებას, მას სათავეში ლიდერი უნდა ედგეს, რომელსაც შეეძლება თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება, ცვლილებების დაგეგმვა, განხორციელება და მართვა; ასევე, რისკების, კრიზისებისა და კონფლიქტების მართვა. ასეთი ლიდერი ქმნის და ამკვიდრებს ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას, პასუხისმგებლობას იღებს გუნდის მუშაობაზე, უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას და მათ მოტივირებას. სწორედ ამიტომ, ლიდერის როლი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესში არის გადამწყვეტი.

თამარ ქიტიაშვილი, პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი:

რეფორმის ყველა კომპონენტში, განხორციელების ჯაჭვი სრულდება დაწესებულებაში ან პირიქით, იწყება დაწესებულებიდან. წარმოუდგენელია შედეგებზე საუბარი კოლეჯის წარმატების გარეშე, შესაბამისად, რეფორმის წარმატება დგას გაზიარებულ პასუხისმგებლობაზე, სადაც კოლეჯის როლი ცენტრალურია. ლიდერები პროფესიულ განათლებაში უპირველესად უნდა იაზრებდნენ თავიანთ მრავალწახნაგოვან როლს. პირველ რიგში იმას, რომ ადამიანების პიროვნულ განვითარებას ემსახურებიან, ასევე, სოციუმის დემოკრატიულ მომწიფებაში შეაქვთ წვლილი და, რაც მთავარია, ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ. ამასთან, ფუნქციების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ლიდერისთვის მნიშვნელოვანია გუნდის ეფექტიანი მართვა და დარგობრივი და რეგიონული კონტექსტის გათვალისწინება ორგანიზაციის განვითარებისას. ყოველივე ეს უკავშირდება ლიდერის გუნდურობის, ეფექტური კომუნიკაციისა და გაზიარებული პასუხისმგებლობით მართვის უნარებს.

მადონა მიქელაძე, ბათუმის უნივერსიტეტი:

ლიდერობა, თავისთავად, არ გულისხმობს ორგანიზაციაში მაღალ თანამდებობას და მაღალ სოციალურ სტატუსს. ლიდერი ხაზს უსვამს გუნდურად მუშაობის შესაძლებლობას. პროფესიული განათლების ლიდერს უნდა სჯეროდეს საკუთარი მისიისა და იცოდეს, რა უნდა გააკეთოს მიზნის მისაღწევად; დაეხმაროს დასაქმებულებს საკითხის კარგად გაგებაში და გამოიწვიოს ნდობა. პროფესიული ლიდერული თვისებები არ არის თანდაყოლილი და მათი სწავლა შეიძლება. ლიდერული თვისებების განვითარება მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლისათვის.

ია ერაძე, ბიზნესის აკადემიის დირექტორი:

ლიდერი ერთნაირად უნდა ერკვეოდეს როგორც მენეჯმენტში, ისე სწავლა/სწავლების სპეციფიკაში. ის ინსპირაციას უნდა აძლევდეს პერსონალს და პირადად იღებდეს პასუხისმგებლობას კერძო სექტორთან თანამშრომლობაზე. პროფესიული განათლების რეფორმის დინამიკური ხასიათიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, შეიქმნას კოლეჯის ხელმძღვანელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, მათი საჭიროებების შესაბამისად.

თამარ ზაქარაშვილი, კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ის დირექტორი:

თანამედროვე განათლების სისტემის გამოწვევაა, ფეხი აუწყოს მსოფლიოში ციფრული ინდუსტრიის მიერ მოტანილ სიახლეებსა და დაჩქარებულ ბიზნესპროცესებს; კრიტიკულად მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდეთ მჭიდრო კონტაქტი მოწინავე ბიზნესებთან. ამ დაწესებულებების ლიდერებისთვის კი საჭიროა, სხვადასხვა პრაქტიკის გაზიარების, სასწავლო ვიზიტებისა და ტრენინგების გზით, ანტრეპრენერული აზროვნების ჩამოყალიბება, სიახლეების მიმღებლობა, ცვლილებებისადმი მოქნილობა, მართვის სტილისა და სწავლების პროცესის გათანამედროვება, დაჩქარებული ტემპისთვის ფეხის აწყობა, ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერება და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება.

“

ლუკა მახარაძე

ლუკა მახარაძე 19 წლის არის. დაიბადა და ცხოვრობს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეებში. ლუკა სმენადაქვეითებულია. წლების განმავლობაში სკოლასა და ოჯახში კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდა ჟესტურის ენის არცოდნის გამო. ოჯახში ჟესტური ენა ლუკას გარდა არავინ იცის. ლუკამაც ის კოლეჯ „ბლექსიში“ისწავლა. ახლა თავად ასწავლის ოჯახის წევრებს. გასულ წელს, მეცხრე კლასის დასრულების შემდეგ, ლუკამ თანასოფლელის დახმარებით (ლუკას ინფორმაცია მიწოდა კოლეჯის შესახებ) სწავლა კოლეჯ „ბლექსის“ შუახევის მისამართზე დაიწყო. მან არჩევანი შედუღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გააკეთა. ლუკასთვის ყველა ბარიერი მოხსნილია.

დიდთოვლობისას, როდესაც სოფლიდან მუნიციპალიტეტის ცენტრამდე გადადგილება გაძნელებული იყო, მას არცერთი გაკვეთილი არ გაუცდენია. უამინდობისას, გადადგილებაში ხშირად კოლეჯ „ბლექსის“ პროფესიული მასწავლებელი ეხმარება. მას ლუკა მანქანით დაჰყავს კოლეჯის შუახევის მისამართზე, რათა გაკვეთილები არ გაუცდეს.

ჟესტური ენის მასწავლებელი ლამზირა კახაძე, რომელიც კოლეჯ „ბლექსის“ კურსდამთავრებულია (კოლეჯში ისწავლა ჟესტური ენა) ახლა ჟესტური ენის ასისტენტია და ლუკას დამხმარე. ლუკა საუკეთესო პროფესიული სტუდენტია; უახლოეს პერიოდში მუშაობასაც დაიწყებს. შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და, შესაბამისად, არც პროფესიის არჩევისას არსებობს რაიმე სახის ბარიერი.

რატომ გადაწყვიტე შესულიყავი პროფესიულ კოლეჯში?

ლუკა: კოლეჯში სწავლის დაწყება იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდოდა პროფესია მქონოდა და მუშაობა დამეწყო, მქონოდა ხელფასი და დამოუკიდებლად მეცხოვრა.

რამდენად გაამართლა კოლეჯმა შენი მოლოდინები?

ლუკა: კოლეჯში რომ მივედი, არ ვიცოდი რა დამხვდებოდა, მაგრამ ახლა ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე, მიყვარს შედუღება და მომწონს რასაც ვაკეთებ. ხშირად ვუყურებ ვიდეოებს youtobe-ზე, მომწონს იქ რასაც აკეთებენ და მინდა მეც ისე გავაკეთო, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის. დათო მასწავლებელი მეუბნება, ბევრს თუ იმუშავებ და ისწავლი გამოგივაო. მიყვარს კოლეჯში ყოფნა. აქ მეგობრები მყავს და მასწავლებელიც, რომელიც ჟესტურ ენაზე მესაუბრება. სახლში არ იციან ჟესტური ენა.

ნიკა შარიფაშვილი, 17 წლის

პროფესიულ კოლეჯში სწავლის გადაწყვეტილება მივიღე იმ დღიდან, როდესაც კასპის კოლეჯის შესახებ შევიტყვე. კოლეჯი მაძლევდა შესაძლებლობას, სრულიად უსასყიდლოდ დავუფლებოდი ჩემთვის საინტერესო პროფესიას და უმოკლეს დროში მიმეღო როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება.

ცოდნის გარდა, კოლეჯმა ბევრი დადებითი რამ მომცა. აქ გავიცანი არაერთი პოზიტიურად მოაზროვნე ადამიანი, გავხდი უფრო კომუნიკაბელური, ვიდრე აქამდე ვიყავი.

“

გარდა ამისა, მონაწილეობას ვიღებ კოლეჯში მიმდინარე სამეწარმეო პროექტებსა და აქტივობებში, ვეცნობი ახალ ადამიანებს სხვადასხვა სექტორიდან, რაც, დარწმუნებული ვარ, მომავალში საკუთარი საქმის წამოწყებაში დამეხმარება.

ვსწავლობ სამკერვალო წარმოების პროგრამაზე და მოდის დიზაინს ვეუფლები. ხელოვნებით ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული. დავამთავრე სამხატვრო სკოლა. მოდასთან ჩემი პირველი შეხება ჩანთების კერვით დაიწყო. ვნახე, რომ გამომდის ეს საქმე და გადავწყვიტე სწავლა კასპის კოლეჯში გამეგრძელებინა.

ზოგადად, ვფიქრობ, ტანისამოსი დიდ როლს ასრულებს ადამიანის განწყობასა და ხასიათზე და მსიამოვნებს, რომ შემიძლია ამის თანაზიარი ვიყო.

სამომავლოდ ვფიქრობ, გავხსნა საკუთარი ატელიე, რომელიც განსხვავებულ სიტყვას იტყვის ქართული მოდის ინდუსტრიაში. დღესდღეობით, ქართველების სამოსში შავი ფერი ჭარბობს. მინდა, რომ ეს ფერთა შეზღუდვა შევცვალო და ყველა ადამიანს მივცე შესაძლებლობა, საკუთარი თავი და განწყობა ჩემი შექმნილი სამოსით გამოხატოს.

თანატოლებს შევახსენებ, რომ მათ გასაკეთებელს ვერავინ გააკეთებს, ამიტომ არასდროს შეწყვიტონ ბრძოლა თავიანთი მიზნებისთვის, კარიერისთვის და გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რომლებსაც დღესდღეობით პროფესიული განათლება სთავაზობს ახალგაზრდებს.

ვაკო მესხორაძე, 20 წლის

“

მოგესალმებით, მე ვარ ვაკო მესხორაძე, 20 წლის. დაახლოებით 15 თვის წინ მივხვდი, რომ რაღაც ახალი მჭირდებოდა ხალისიანი, დატვირთული და წარმატებული მომავლისთვის; ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა პროფესიულ განათლებასთან. ჩავაბარე კოლეჯ „იბერიაში“ „ხის მხატვრული დამუშავების“ მიმართულებით, სადაც მომეცა შესაძლებლობა, ეს სფერო პროფესიულ დონეზე შემესწავლა.

კოლეჯმა საშუალება მომცა, ასევე, მონაწილეობა მიმეღო გადამზადების პროგრამაში საფრანგეთში, კერძოდ „სარჟერის მრავალპროფილურ კოლეჯში“ და „პუატიეს ნელსონ მანდელას სახელობის უმაღლეს სკოლაში“.

პირველი ვიზიტი შემოიფარგლა პროგრამაში მონაწილე 9 პრაქტიკოსის ტექნიკური უნარებისა და კომპეტენციების შეფასებით, ხოლო მეორე ტურში 5 მონაწილეს ჩაგვიტარეს ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა პროფესიული პროგრამების სტრუქტურას და სწავლების მეთოდოლოგიას. ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, ჩემი ცოდნა სხვისთვისაც გამეზიარებინა და გადავწყვიტე პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსში მიმეღო მონაწილეობა, სადაც VIII-IX კლასელებს, პროფესიის გაცნობასთან ერთად, შევასწავლე მარტივი ხის ნაკეთობების დამზადება.

ჩემი სამომავლო გეგმები მოიცავს საწარმოს შექმნას, ახალგაზრდების დაინტერესებას და დასაქმებას. თანატოლებს ვურჩევდი, აირჩიონ პროფესიული განათლება, ჩაბარონ სასურველ პროფესიაზე კოლეჯში, სადაც ყველა პირობა დახვდებათ იმისათვის, რომ გახდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და დასაქმდნენ მაღალანაზღაურებად სამსახურებში.

თამარ ალადაშვილი

მწვანე უნარები და გარემოსდაცვითი განათლება

გარემოსდაცვითი საკითხების ცოდნა ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა, ვინაიდან, გარემოში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, გამუდმებით უამრავი პროცესი მიმდინარეობს, რაც თითოეულ ჩვენგანზე ახდენს გავლენას.

ამ მხრივ, აღსანიშნავია გარემოსდაცვითი განათლება რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას და მწვანე უნარების განვითარებას; აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებსა და უნარ-ჩვევებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში.

ჩვენთვის საამაყოა, რომ გარემოსდაცვითი განათლების მიზნების, ამოცანებისა და პრინციპების აღიარება მოხდა 1977 წელს საქართველოში, ქ. თბილისში გამართულ მთავრობათაშორის კონფერენციაზე გარემოსდაცვითი განათლების შესახებ. კონფერენციაზე მომზადდა თბილისის დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბდა ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების სისტემის სტრუქტურა როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

ცენტრი დაინტერესებულ საზოგადოებას არაერთ პროგრამასა და

სერვისს სთავაზობს:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები,
- პროგრამა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“,
- პროგრამა „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“,
- გარემოსდაცვითი და აგრარული ახალგაზრდული პროგრამები,
- ტრენინგები, ლექცია-სემინარები, საინფორმაციო შეხვედრები, კამპანიები და თემატური კონკურსები, ონლაინ სასწავლო კურსები და სასერტიფიკატო გამოცდები.

გარემოსდაცვითი საკითხების ცოდნა თითოეულ ჩვენგანს მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და უნარებსაც ანიჭებს. როგორც ვიცით, ორჰუსის კონვენციით, რომლის წევრიც არის საქართველო, განსაზღვრულია საზოგადოების გარემოსდაცვითი უფლებები ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით. ეს ქმედებები კი გაცილებით უფრო ობიექტური, ეფექტური და შედეგიანია, როდესაც პროცესებში ჩართულ ადამიანებს აქვთ გარემოსდაცვითი ცნობიერების სათანადო დონე და კომპეტენცია. შესაბამისად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიზანია სხვადასხვა სამიზნე აუდიტორია მოიცვას: მოსწავლეები, სტუდენტები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრაკტიკოსები, მასწავლებლები, მემაცივრეტექნიკოსები, ფერმერები, გარემოსდაცვითი და აგრარული თემებით დაინტერესებული საზოგადოება.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის FB გვერდზე, ელ.ფოსტაზე - Info@eiec.gov.ge და დაგვიკავშირდნენ შემდეგ ნომერზე - 032 211 20 23.

ცენტრი დაინტერესებულ საზოგადოებას მწვანე უნარების განვითარების მიმართულებით სხვადასხვა სასწავლო კურსს სთავაზობს. მიმდინარე კურსებია:

- მწვანე ეკონომიკის ელექტრონული სასწავლო კურსი;
- გარემოსდაცვითი დემოკრატიის ელექტრონული კურსი.

მწვანე ეკონომიკის ელექტრონული სასწავლო კურსი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, ევროკავშირის პროექტის „EU4 Environment “-ის ფარგლებში, შეიმუშავა საგანმანათლებლო პლატფორმის - unccelearn.org მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსი. საერთაშორისო პლატფორმაზე განთავსებულია მწვანე ეკონომიკის 5 ქართულენოვანი მოდული, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის - სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის, კერძო სექტორისთვის; გარემოსდაცვითი მმართველების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების, პედაგოგების, მკვლევრებისა და სტუდენტებისთვის. ელექტრონული კურსი მოიცავს

ინტერაქტიულ გაკვეთილებს, ქვიზებს, კითხვარებს. კურსში მოცემული ყველა ეტაპის წარმატებით დახურვის შემთხვევაში, პირი მიიღებს სერტიფიკატს. მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო პლატფორმის მწვანე ეკონომიკის სასერტიფიკატო კურსი არის უფასო.

გარემოსდაცვითი დემოკრატიის ელექტრონული კურსი მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი დემოკრატიის, ანგარიშვალდებულების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობას გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვითი დემოკრატიის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. კურსი მოიცავს საკითხის შესაბამის თეორიულ მასალას, პრაქტიკულ მაგალითებს (ევროპული და ქართული რეალობიდან), სავარჯიშოებს, დავალებებსა და ფოტო/ვიდეო მასალას. აღნიშნული ელექტრონული სასწავლო კურსი შეიქმნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

გარემოსდაცვითი საკითხების ცოდნა და მწვანე უნარების შეძენა ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. მოგეხსენებათ, ციფრული სივრცე დღეს ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებში, ცენტრის ერთ-ერთ მთავარ სამიზნე აუდიტორიას კი სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ. ამიტომ ვაგრძელებთ მუშაობას მწვანე უნარების განვითარებისთვის. გვსურს, მუდმივად ნოვატორები ვიყოთ გარემოსდაცვითი და აგარარული მიმართულებით ცოდნის გადაცემაში. პერიოდულად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების გზებს. ხელს ვუწყობთ გარემოსდაცვითი და აგრარული პროფილის გაძლიერებას არაფორმალური განათლების მიმართულებით, დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ისე, რომ თითოეული მოქალაქე გრძნობდეს პასუხისმგებლობას დამოკიდებულება გარემოსადმი და ამგვარად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

მიმდინარე წელს, გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციისა და წარჩინებული სტუდენტების წახალისების მიზნით, გაგრძელდება სტუდენტური „მწვანე სტიპენდიების" პროგრამა. აგრარული დეფიციტური პროფესიების ხელშეწყობის მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება, შევიმუშაოთ და წლის ბოლომდე დავნერგოთ „აგროსტიპენდიების" პროგრამაც. 2023 წელს „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში" პროგრამის ფარგლებში, შემუშავდება სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის სახელმძღვანელო, რის შემდეგაც დაიწყება აღნიშნული პროგრამით მასწავლებლების გადამზადების პროცესი. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაინერგება საჯარო განხილვების ერთიანი მიდგომა და შემუშავდება ელექტრონული პლატფორმა - გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალი.

მარიამ თაგოშვილი, 20 წლის

“

პროფესიულ კოლეჯში სწავლა გადავწყვიტე იმიტომ, რომ მიყვარდა საკონდიტრო საქმე და მინდოდა უკეთ შემესწავლა ის; ამაში ძალიან დამეხმარა კოლეჯი „პრესტიჟი“.

კოლეჯში არის მეგობრული გარემო, სადაც ნებისმიერი სტუდენტი კომფორტულად გრძნობს თავს, სწავლის დონე კი - უმაღლესი ხარისხისაა. სასწავლებელი დამეხმარა ჩემი სფეროსთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებაში. გარდა ამისა, კოლეჯმა მომცა შესაძლებლობა, დავსაქმებულიყავი ქალაქის ერთ-ერთ ცნობილ საკონდიტროში. ამჟამად, სწავლის პარალელურად, ვმუშაობ ჩემი პროფესიით და მაქვს მაქსიმალური ხელშეწყობა კოლეჯის მხრიდან. ვსწავლობ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კონდიტერია“. მსურს კიდევ უფრო უკეთ დავეუფლო საკონდიტრო საქმეს და ჩემი მაქსიმუმი გამოვავლინო ამ სფეროში.

ჩემს თანატოლებს ვეტყოდი, რომ არასდროს დანებდნენ, ყოველთვის იბრძოლონ საკუთარი მიზნების მისაღწევად და მნიშვნელობა არ აქვს, მხარს უჭერენ თუ არა მათ სხვები. მთავარია, საყვარელი საქმე აკეთო და ცხოვრების ყოველ ეტაპზე უფრო და უფრო მეტ წარმატებას მიაღწიო.

ქრისტინე კვარაცხელია, 17 წლის

“

თითქმის სტერეოტიპად დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში, რომ სკოლის დამთავრებისთანავე უნდა ჩაირიცხო უმაღლეს სასწავლებელში და მიიღო უმაღლესი აკადემიური განათლება, რასაც ჩემი თანატოლების უმრავლესობა გაუაზრებლად აკეთებს. იმის გაცნობიერება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა დავტოვო საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი, მეგობრები, გადავიდე საცხოვრებლად დიდ ქალაქში და მივიღო საუნივერსიტეტო განათლება, ჩემთვის შიშის მომგვრელი აღმოჩნდა. მეთორმეტე კლასის ბოლოს აღმოვჩნდი არჩევნის წინაშე - ან უნდა მიმეტოვებინა ჩემი რაიონი და გადავსულიყავი საცხოვრებლად დედაქალაქში ან სხვა გზა მომეძებნა.

სწორედ ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში მყოფს, დეიდაშვილმა გამიზიარა ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, რომელიც თურმე ჩვენს რაიონში ფუნქციონირებდა. მან ამ კოლეჯის თაობაზე სკოლაში გამართულ პროფორიენტაციის შეხვედრაზე შეიტყო.

იმ დღიდან დავინტერესდი პროფესიული განათლებით; მოვიძიე ინფორმაცია უახლოესი კოლეჯის შესახებ; ადგილზე ვესტუმრე, მშობლებთან ერთად. კოლეჯში დეტალურად გამაცნეს, პროფესიული განათლების არსი, მისი შესაძლებლობები და მრავალფეროვანი პროგრამები. სწორედ ეს გახდა მოტივაცია ჩემთვის, რომ სწავლა უახლოეს კოლეჯში გამეგრძელებინა.

აქ დამხვდა საოცარი გარემო; შესაძლებლობა, რომ მომესინჯა უნარები სხვადასხვა სფეროში. მასწავლებლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თითოეული სტუდენტის წარმატებით. შევარჩიე პროფესია - ხის მხატვრული დამუშავება და ვეუფლები თანამედროვე პროფესიას. დღეს მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გავაკეთე სწორი არჩევანი. ჩართული ვარ კოლეჯში არსებული ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორიის აქტივობებში, სადაც დამატებით მიწევს ინოვაციური ტექნოლოგების გამოყენება.

სამომავლოდ დიდი გეგმები მაქვს. ვცდილობ, მივიღო მონაწილეობა სხვადასხვა პროექტში, მათ შორის, გაცვლით პროგრამებში; მოვამზადო ბიზნეს-გეგმები; მოვიპოვო დანადგარები და თავად შევქმნა სახელოსნო. თანატოლებს ვეტყოდი, რომ არ ეძებონ განათლება შორს. ახლოს, ოჯახის წევრებთან განშორების გარეშეც შესაძლებელია გააკეთო შენი მაქსიმუმი - დაეუფლო პროფესიას და იყო უფრო მაღალანაზღაურებადი, ვიდრე სხვა აკადემიური განათლების მქონე ადამიანი და, რაც მთავარია, იპოვო საკუთარი თავი და აკეთო ის საქმე, რაც სიამოვნებას განიჭებს.

შეიტყვეთ მეტი პროფესიული მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების შესახებ:

www.vet.emis.ge

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ:

www.dasaqmeba.ge

თბილისის მერიის მუნიციპალური პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“:

https://www.dasakmdi.ge/

ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2022 წლის კატალოგი მოითხოვეთ ჟურნალის ფეისბუქგვერდზე (მესენჯერში) და ჩვენ გამოგიგზავნით ელექტორნულ ფოსტაზე.

მოგვწერეთ, რა თემებზე გსურთ ინფორმაციის მიღება და გაზიარება, ჩვენ თქვენთვის ვმუშაობთ.

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

UNDP